

**ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
წევრის რამაზ გულუას მიერ 2018 წლის 1
ოქტომბრიდან 2019 წლის 31 ოქტომბრამდე გაწეული საქმიანობის
შესახებ**

ა ნ გ ა რ ი შ ი

მოგესალმებით ძვირფასო ამომრჩევლებო!

წინამდებარე ანგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2018 წლის 30 ოქტომბრიდან 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ვეყრდნობოდი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით საკრებულოს წევრისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

აღნიშნულ დროში მონაწილეობა მივიღე მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამართულ 13 საკრებულოს სხდომიდან 9 სხდომის გამართვაში, რომელზედაც მიღებული იქნა ნორმატიული სამართლებრივი აქტები, დადგენილებები 14 და განკარგულება 19, რომელთა მიღების ნაწილს მხარი დავუჭირე .

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში

უფლებამოსილებას ვანხორციელებდი საკრებულოს 2 მუდმივმოქმედ საფინანსო - საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა კომისებში . მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების დროიდან ვარ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე. როგორც საკრებულოს წევრს შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) ყოველთვიური გრაფიკის შესაბამისად, ასევე ყოველდღიურადაც. მოქალაქეთა ძირითადი პრობლემა სოციალური საკითხებია, ითხოვდნენ ფინანსურ დახმარებას.

მე, როგორც საკრებულოს წევრი გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას მუნიციპალიტეტის საკრებულოში და ამომრჩევლებთან, რათა 2020 წელი უფრო წარმატებული გახდეს ჩხოროწყუს ყველა მცხოვრებლისთვის.

საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი რამაზ გულუა

31 ოქტომბერი 2019 წელი